



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 84

ქ.ბათუმი

24/10/2018

84-06-4-201810241558



**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობის
განსაზღვრის შესახებ“
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის 26 იანვრის №12 ბრძანებაში
ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის, „გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №05 დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის გურანდა დოლიძის 2018 წლის 22 ოქტომბრის №220-06 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ცვლილება შევიდეს ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - „1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო განისაზღვროს 20 წევრის შემადგენლობით. „
2. ცვლილება შევიდეს ბრძანების მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - „ ზ) **ლელა გეგეჭკორი** - არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალი“-ს გამგეობის წევრი - საბჭოს წევრი; „
3. ცვლილება შევიდეს ბრძანების მე-2 პუნქტში და დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“, „ს“, „ტ“ და „უ“ ქვეპუნქტები:
 - „ რ) **მირზა ზახტაძე**- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;
 - ს) **ნატო შერვაშიძე** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ააიპ „ხელვაჩაურის ბაღების გაერთიანების“- ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი;
 - ტ) **მირანდა გვარიშვილი** - საქართველოს პარლამენტის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუროს სპეციალისტი - საბჭოს წევრი;
 - უ) **მაია გორგაძე**- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი. „
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ნადიმ ვარშანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე